დანართი N4

ანაზღაურების პირობები

1. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებს აუნაზღაურდებათ მარკეტინგული ხარჯები (გარდა საქართველოს, სუამისა და დსთ-ს ქვეყნებში გაწეული მარკეტინგული ხარჯებისა), შემდეგი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში:

ა) ბენეფიციარი მოახდენს მეტი (ლიტრი) ღვინის ექსპორტს მიმდინარე კალენდარულ წელს, ვიდრე ექსპოტრირებული აქვს წინა კალენდარულ წელს;

ბ) ბენეფიციარი მიმდინარე საანგარიშო პერიოდში უზრუნველყოფს მეტი მარკეტინგული ხარჯის გაწევას, ვიდრე გაწია წინა საანგარიშო პერიოდში.

2. ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა გამოიანგარიშება შემდეგი წესით:

ა) მიმდინარე კალენდარულ წელს ექსპორტირებული (ლიტრი) ღვინის მოცულობას გამოაკლდება წინა კალენდარულ წელს ექსპორტირებული (ლიტრი) ღვინის მოცულობა;

ბ) მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გაწეულ მარკეტინგული ხარჯების ოდენობას გამოაკლდება წინა საანგარიშო პერიოდში გაწეული მარკეტინგული ხარჯების ოდენობა;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გამოთვლილი მარკეტინგული ხარჯის ოდენობა გაიყოფა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად გამოთვლილი (ლიტრი) ღვინის მოცულობაზე და მიღებული თანხა წარმოადგენს ექსპორტირებულ ერთ ლიტრ ღვინოზე გადაანგარიშებით ასანაზღაურებელ მარკეტინგულ ხარჯს, რომელიც **არ უნდა აღემატებოდეს 2 ლარს.**

დ) ამ პუქნტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად გამოთვლილი ღვინის მოცულობა (ლიტრი) გამრავლდება ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით მიღებულ ასანაზღაურებელ მარკეტინგულ ხარჯზე და მიიღება ასანაზღაურებელი თანხა.

3. თითოეულ ბენეფიციარზე კალენდარული წლის მანძილზე გასაცემი ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა **განისაზღვრება არაუმეტეს 600 000 (ექვსასი ათასი) ლარით.**

4. თითოეულ ბენეფიციარზე მცირე ზომის მარნის შემთხვევაში, კალენდარული წლის მანძილზე, პროგრამის 5[1] მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოსადგენი დოკუმენტის მისაღებად გაწეული ხარჯი ანაზღაურდება არა უმეტეს 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

5. პროგრამის ფარგლებში არ დაიანგარიშება საქართველოში რეალიზებული და სუამისა და დსთ-ს ქვეყნებში ექსპორტირებული (ლიტრი) ღვინის მოცულობა და გაწეული მარკეტინგული ხარჯები.

6. იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარს წინა კალენდარული წლის და საანგარიშო პერიოდში არ აქვს გაწეული მარკეტინგული ხარჯი ან/და არ განუხორციელებია ღვინის ექსპორტი პროგრამის პირობების შესაბამისად, დაანგარიშებისას გათვალისწინებული იქნება არაუგვიანეს გასული 3 წლის განმავლობაში უკანასკნელად გაწეული მარკეტინგული ხარჯი და ექსპორტირებული ღვინის მოცულობა.

7. პოტენციურ ბენეფიციართან გაფორმდება დაფინანსების ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ მას უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში რომელიმე წელს გაწეული აქვს მარკეტინგული ხარჯი და განუხორციელებია ღვინის ექსპორტი პროგრამის პირობების შესაბამისად.